ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო

№ 01-12-15-2/19422
„28" 11 2006 წ.

მოქალაქე გიორგი გრიგოლიას

(მის.: ქ. თბილისი, მიცკევიჩის
ქ. 24, ბ. 10)

ბატონო გიორგი,

თქვენი განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ 2004 წლის 21 დეკემბრის "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 89-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, "ამ კანონის ძალაში შესვლამდე მოპოვებული მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი გათანაბრებულია დოქტორის აკადემიურ ხარისხთან", ხოლო მე-10 პუნქტის თანახმად, "ამ მუხლის მე-9 პუნქტი ვრცელდება აგრეთვე პირებზე, რომლებიც გახდნენ ან გახდებიან ასპირანტები (მაძიებლები) და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ამ კანონის შესაბამისი სადისერტაციო საბჭოს შექმნამდე მოიპოვებენ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხს, მაგრამ არა უგვიანეს 2006 წლის 31 დეკემბრისა".

ამრიგად, 2006 წლის 31 დეკემბრამდე მიღებული და საქართველოში აღიარებული მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი ავტომატურად გათანაბრებულია დოქტორის აკადემიურ ხარისხთან.

პატივისცემით,

არჩილ სამადაშვილი
სტრატეგიული დაგეგმვის
დეპარტამენტის უფროსი

თბილისი 0102, დიმიტრი უზნაძის ქ. 52; ტელეფონი: 95 99 12 ფაქსი: 95 32 13 / 95 51 99
www.mes.gov.ge